საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 12 სექტემბერი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/04

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში თანახმად დანართისა.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის
1 04-01/04 დადგენილების
დანართი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი.

პუნქტები:

13. სტუდენტის შეფასება:

1) სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენეტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2) შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვროს 60 ქულა შუალედურ შეფასებას და 40 ქულა დასკვნით შეფასებას.
3) დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4) შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
5) შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6) შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასება - 30 ქულა (0-29 ქულა „ჩაიჭრა“): დასკვნითი შეფასება - 21 ქულა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“). საგნის მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
7) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

17. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
   ა.ა) A – ფრიადი - შეფასების 91- 100 ქულა;
   ა.ბ) B – ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
   ა.გ) C – კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
   ა.დ) D – დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
   ა.ე) E – საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

17^1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის/დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების
გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა
სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

17^2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

17^3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

17^4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

18. სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

19. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის
მე-5-ე მუხლის მე-17 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო
ამ მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის
უფლებას. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

ამოღებულ იქნას მე-5 მუხლის 14. 15. 19^1. პუნქტები


საგანი/მოდული
შეფასების ფორმა:
შუალედური შეფასება
(მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულა)
შეფასების ფორმა:
დასკვნითი გამოცდა
(მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა)
შეფასების კომპონენტი
საგნის მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
შეფასების კომპონენტი
საგნის მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
შეფასების მეთოდი
შეფასების კრიტერიუმი
შეფასების მეთოდი
შეფასების კრიტერიუმი